

იოანე მოციქულის გამოცხადება

იოანეს მონმოზა

1 გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავის მსახურთათვის, რაც უნდა მოხდეს მალე, და აუწყა და გაუგზავნა თავისი ანგელოზის მეშვეობით თავის მსახურს იოანეს,

2 რომელმაც დაამოწმა ღვთის სიტყვა და იესო ქრისტეს მოწმობა და, რაც იხილა.

3 ნეტარია წამკითხველი და მომსმენი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვისა და მასში დაწერილის შემნახველი, რადგან ახლოა ჟამი.

აზიაში შვიდ ეკლესიას

4 იოანე აზიაში შვიდ ეკლესიას: მადლი თქვენ და მშვიდობა მისგან, რომელიც არის, იყო და მოდის, და შვიდი სულისაგან, რომლებიც მისი ტახტის წინაშე არიან,

5 და იესო ქრისტესაგან, რომელიც სარწმუნო მოწა-

მეა, პირმშო მკვდართაგან და მიწიერ მეფეთა მთავარი. მას, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან

6 და გაგვხადა ჩვენ სუფევად, მღვდლებად ღვთისა და თავისი მამისათვის. მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

7 აჰა, ის მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი, და ატირდება მის წინაშე მიწის ყველა ტომი. დიახ, ამინ.

8 „მე ვარ ანი და ჰოე, – ამბობს უფალი ღმერთი, – ის ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოველისმპყრობელი.“

იოანეს ხიცვა ჰატმოსზე

9 მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და მოზიარე გასაჭირში, სუფევასა და იესო ქრისტეს მოთმინებაში. ვიყავი კუნ-

ძულზე, რომელსაც ეწოდება პატმოსი, ღვთის სიტყვისათვის და იესო ქრისტეს მოწმობისათვის.

10 მე ვიყავი სულში უფლის დღეს და ზურგსუკანიდან შემომესმა დიდი ხმა, საყვირის მსგავსი,

11 რომელიც ამბობდა: „რასაც ხედავ, დაწერე წიგნში და დაუგზავნე შვიდ ეკლესიას: ეფესოს, სმირნას, პერგამოს, თიატირას, სარდეს, ფილადელფიას და ლაოდისას“.

12 მივბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა, და მიბრუნებისას ვიხილე შვიდი ოქროს სასანთლე.

13 შვიდი სასანთლის შუაში ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც ემოსა მოსასხამი და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა.

14 მისი თავი და თმები თეთრი იყო, როგორც თეთრი მატყლი, როგორც თოვლი. თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი.

15 მისი ფეხები, როგორც მოელვარე სპილენძი, რო-

გორც ქურაში გავარვარებულნი. მისი ხმა, როგორც ბევრი წყლის ხმაური.

16 მარჯვენა ხელში ეჭირა შვიდი ვარსკვლავი, მისი პირიდან გამოდიოდა ორღესული მახვილი, მისი სახე იყო როგორც მზე, თავის სრულ ძალაში რომ ანათებს.

17 როცა ვიხილე იგი, მკვდარივით დავეცი მის ფერხთით. მან თავისი მარჯვენა დამადო და მითხრა: „ნუ გეშინია, მე ვარ პირველი და უკანასაკნელი,

18 და ცოცხალი. მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯობეთის კლიტენი.

19 ამიტომ დაწერე, რაც იხილე, რაც არის და რაც იქნება ამის შემდეგ.

20 შვიდი ვარსკვლავის საიდუმლო, რომელიც შენ იხილე ჩემს მარჯვენაში და შვიდი ოქროს სასანთლე: შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზებია, ხოლო შვიდი სასანთლე შვიდი ეკლესიაა.

ეფესელთა ეკლესიას:
შენ მიაცოვე ჰიჰველი
სიყვარული

2 „ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს, ვისაც შვიდი ვარსკვლავი უბყრია თავის მარჯვენაში და მიმოდის შვიდ ოქროს სასანთლეს შორის:

2 ვიცი შენი საქმეები, შენი შრომა და შენი მოთმინება, და ისიც, რომ არ შეგიძლია ბოროტთა ატანა და გამოსცადე ისინი, რომლებიც თავს მოციქულებად უხმობენ, და არ არიან, და ჰპოვე ისინი ცრუებად.

3 გაქვს მოთმინება და გაიტანე ჩემი სახელის გულისათვის და არ დაქანცულხარ.

4 მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული.

5 ამიტომ გაიხსენე, საიდან დაეცი, და მოინანიე და აკეთე შენი პირვანდელი საქმეები. თუ არა და, მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სასანთლეს თავისი ადგილიდან, თუ არ მოინანიებ.

6 მაგრამ ეს კი გაქვს, რომ გძულს ნიკოლაელთა საქმეები, რომლებიც მეც მძულს.

7 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: ვინც გაიმარჯვებს, ვაგემებინებ სიცოცხლის ხისაგან, რომელიც ღვთის სამოთხეშია.

სმიხნის ეკლესიას:
იყავით ეხოჯენი
სიყვდილამდე

8 „სმიხნის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს პირველი და უკანასკნელი, რომელიც მკვდარი იყო და გაცოცხლდა:

9 ვიცი შენი გასაჭირი და სილატაკე, თუმცა შენ მდიდარი ხარ, და გმობა მათგან, რომლებიც თავს იუდეველებად უხმობენ, და არ არიან, არამედ სატანის საკრებულო არიან.

10 ნუ გეშინია ნურაფრისა, რისი გადატანაც მოგიწევს. აჰა, ეშმაკი ჩააგდებს ზოგ თქვენგანს საპყრობილეში, რათა გამოიცადოთ. და გექნებათ ჭირი ათ დღეს.

სიკვდილამდე ერთგული იყავი და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს.

11 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: გამარჯვებულს ვნება არ ექნება მეორე სიკვდილისგან.

პერგამოს ეკლესიას:

სადაც სატანის ტახტია

12 „პერგამოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს, ვისაც ორღესული მახვილი აქვს:

13 ვიცი, რომ იქ ცხოვრობ, სადაც სატანის ტახტია და რომ გიჭირავს ჩემი სახელი და არ უარყავი ჩემი რწმენა ჩემი ერთგული მოწამის, ანტიპას დღებშიც კი, რომელიც მოკლეს თქვენს შორის, სადაც სატანა სახლობს.

14 მაგრამ მცირე რამ მაქვს შენს საწინააღმდეგოდ, ვინაიდან არიან იქ შენთან, რომლებიც მისდევნენ ბილყამის მოძღვრებას, რომელმაც ასწავლა ბალაკს და აცდუნა ისრაელიანები, რათა ეჭამათ ნაკერპავი და ემეძავათ.

15 ასევე იმყოფებიან შენთან, რომლებიც მისდევნენ ნიკოლაელთა მოძღვრებას, რომელიც მე მძულს.

16 მაშ, მოინანიე, თუ არა და, მალე მოვალ შენთან და შევებრძოლები მათ ჩემი პირის მახვილით.

17 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: გამარჯვებულს მივცემ გადანახული მანანისაგან და მივცემ მის თეთრ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ იცის, გარდა მიმღებისა.

თიატიხას ეკლესიას:

ჩაც გაქვს, გეჭიხოს,

ვიძიე მოვიძოდე

18 „თიატირას ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს ძე ღვთისა, რომლის თვალები ცეცხლის ალს წააგავს და ფეხები მისი ელვარე სპილენძითაა:

19 ვიცი შენი საქმენი და სიყვარული, შენი რწმენა და მსახურება, შენი მოთმინება და რომ შენი უკანასკნელი საქმეები წინანდელზე მეტია.

20 მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ ნებაზე უშვებ შენს დედაკაცს იეზაბელს, რომელიც თავს წინასწარმეტყველად უხმობს, ასწავლის და აცდენს ჩემს მსახურთ, რომ იმეძაონ და ნაკერპავი ჭამონ.

21 მე მივეცი მას დრო, რომ მოენანიებინა, მაგრამ არ სურს მოინანიოს თავისი მეძაობა.

22 აჰა, მე დავაგდებ მას სარეცელზე, ხოლო მათ, ვინც მასთან ერთად მეძაობდნენ, დიდ გასაჭირში ჩავყრი, თუ არ მოინანიებენ თავიანთ საქმეებს.

23 სიკვდილით დავხოცავ მის შვილებს და გაიგებს ყველა ეკლესია, რომ მე ვიკვლევ თირკმელებს და გულს, და ყოველ თქვენგანს თავისი საქმეების მიხედვით მივუზღავ.

24 ხოლო დანარჩენებს, რომლებიც თიატირაში იმყოფებით, გეუბნებით: ყველას, ვისაც არა აქვს ეს მოძღვრება და არ იცის სატანის სიღრმეები, როგორც ისინი

ამბობენ, არ დაგაკისრებთ სხვა ტვირთს.

25 რაც გაქვთ, მხოლოდ ის გეჭიროთ, ვიდრე მოვიდოდე.

26 ვინც გაიმარჯვებს და ბოლომდე დაიცავს ჩემს საქმეებს, მას მივცემ ხელმწიფებას წარმართებზე, –

27 დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით და დაიმსხვრევიან, როგორც თიხის ჭურჭელი, – ისევე, როგორც მე მივიღე ჩემი მამისაგან.

28 და მივცემ მას ცისკრის ვარსკვლავს.

29 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

ჩემთან ივიან თუთიხი სამოსით

3 „სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს, ვისაც აქვს შვიდი ღვთის სული და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი შენი საქმენი, რომ გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი იყო, შენ კი მკვდარი ხარ.

2 იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენები, სიკვდილ-

თან ახლო მყოფნი, ვინაიდან ვერ დავინახე, რომ შენი საქმეები სრულყოფილი იყოს ჩემი ღვთის წინაშე.

3 გაიხსენე, როგორ მიიღე და მოისმინე. დაიცავი და მოინანიე. თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც მპარავი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოვივალ.

4 თუმცა სარდემი გყავს რამდენიმე კაცი, რომელთაც არ წაუბილწავთ თავიანთი სამოსელნი და ჩემთან ერთად ივლიან თეთრებში, ვინაიდან ღირსნი არიან.

5 გამარჯვებული შეიმოსავს თეთრ სამოსლებს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე.

6 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

მოგეცი ღია კარი

7 „ფილადეფიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს წმიდა, ჭეშმარიტი,

რომელსაც აქვს დავითის კლიტი, რომელიც გააღებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ველარავინ გააღებს: მვიცი შენი საქმენი. აჰა, შენს წინაშე დავდგი ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს, რადგან მცირე ძალა გაქვს. მაგრამ შენახე ჩემი სიტყვა და არ უარყო ჩემი სახელი.

9 აჰა, გადმოგცემ იმათ სატანის საკრებულოდან, რომლებიც თავს იუდეველებად უხმობენ და არ არიან, არამედ ცრუობენ. აჰა, ისე მოვუწყობ მათ, რომ მოვიდნენ და თავყვანი გცენ შენს ფერხთა წინაშე, და გაიგებენ, რომ მე შეგიყვარე.

10 რაკი შენ დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის უამისაგან, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე, რომ გამოსცადოს მიწის მკვიდრნი.

11 აჰა, მოვალ მალე. გეპყრას, რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი.

12 გამარჯვებულს გავხდის სვეტად ჩემი ღვთის ტაძარ-

ში და იგი აღარ გავა გარეთ. დავაწერ მასზე ჩემი ღვთის სახელს და ჩემი ღვთის ქალაქის, ახალი იერუსალიმის სახელს, რომელიც ციდან ჩამოდის ჩემი ღვთისაგან, და ჩემს ახალ სახელს.

13 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.

ვდგავაჲ ჩახთან და ვიუჲ

14 „ლაოდკიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს ამინი, მოწამე სარწმუნო და ჭეშმარიტი, დასაბამი ღვთის ქმნილებისა:

15 ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტავ ან ცივი იყო ან ცხელი!

16 მაგრამ რაკი ნელთბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.

17 ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ლატაკი, ბრმა და შიშველი.

18 მე გირჩევ იყიდო ჩემგან ცეცხლით განწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი შესამოსლები, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშველის აუგი, და თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე.

19 ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე.

20 აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან.

21 გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ ჩემს ტახტზე ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავკეტი ჩემს მამასთან მის ტახტზე.

22 ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.“

ტახტი და ოცდაოთხი უხუცესი

4 ამის შემდეგ ვიხილე, აჰა, ღია კარი ცაში და პირველი ხმა, რომელიც შემომესმა, საყვირივით დამე-

ლაპარაკა და მითხრა: „ამო-
დი აქ და გიჩვენებ, რაც უნ-
და მოხდეს ამის შემდგომ“.

2 მყისვე აღმოვჩნდი სულ-
ში და აჰა, ტახტი იდგა ცაში
და ვილაც იჯდა ტახტზე.

3 ვინც იჯდა, შესახედაო-
ბით წააგავდა იასპის ქვას და
სარდიონს. ხოლო ცისარტყე-
ლა ტახტის ირგვლივ შესა-
ხედაობით წააგავდა ზურ-
მუხტს.

4 ტახტის ირგვლივ ოცდა-
ოთხი ტახტი იყო, ხოლო ტახ-
ტებზე ისხდა ოცდაოთხი
უხუცესი, რომელთაც ემო-
სათ თეთრი სამოსლები და
თავებზე ოქროს გვირგვინე-
ბი ედგათ.

5 ტახტიდან გამოდიან
ელვანი, ქუხილნი და ხმანი.
ტახტის წინ შვიდი ცეცხლო-
ვანი ჩირაღდანი ანთია, რომ-
ლებიც ღვთის შვიდი სულია.

6 ტახტის წინ ბროლის
მსგავსი მინის ზღვაა, ტახტის
შუა და ტახტის ირგვლივ –
ოთხი ცხოველი, წინიდან და
უკნიდან თვალებით საგსე.

7 პირველი ცხოველი
ლომს ჰგავდა, მეორე ცხოვე-

ლი ხბოს ჰგავდა, მესამე ცხო-
ველს ადამიანივით სახე ჰქონ-
და, მეოთხე ცხოველი მფრინ-
ავ არწივს ჰგავდა.

8 ამ ოთხი ცხოველიდან
თითოეულს ექვსი ფრთა
ჰქონდა ირგვლივ და შიგნით
თვალებით იყვნენ საგსენი.
არც ღლით, არც ღამით არ
ჰქონდათ მოსვენება და ამ-
ბობდნენ: „წმიდაა, წმიდაა,
წმიდაა უფალი ღმერთი,
ყოვლისმპყრობელი, რომე-
ლიც იყო, არის და მოვა“.

9 როცა ცხოველები დი-
დებას, პატივს და მაღლობას
უძღვნიდნენ ტახტზე მჯდომარეს,
ცოცხალს უკუნიითი
უკუნიამდე,

10 ოცდაოთხი უხუცესი
დაემხო ტახტზე მჯდომარის
წინ და თავჯანი სცა უკუნი-
თი უკუნიამდე ცოცხალს.
თავიანთი გვირგვინები დაამ-
ხეს ტახტის წინ და თქვეს:

11 „შენ ღირსი ხარ, უფა-
ლო და ღმერთო ჩვენო, რომ
მიიღო დიდება, პატივი და
ძალა, ვინაიდან შენ შექმენი
ყოველივე და შენი ნებით იყ-
ვნენ და შეიქმნენ“.

დაბეჭდილი წიგნი და ჩხავი

5 ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში შიგნიდან და გარედან ნაწერი წიგნი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

2 ვიხილე ძლიერი ანგელოზი, დიდი ხმით მაუწყებელი: „ვინ არის ამ წიგნის გადაშლისა და მისი ბეჭდების ახსნის ღირსი?“

3 არავის შეეძლო არც ცაში, არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ წიგნის გადაშლა ან მასში ჩახედვა.

4 ბევრს ვტიროდი იმის გამო, რომ არ მოიძებნებოდა ამ წიგნის გადაშლის ან მასში ჩახედვის ღირსი.

5 ერთმა უხუცესთაგანმა მითხრა: „ნუ სტირი, გაიმარჯვა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი“.

6 შევხედე და, აჰა, ტახტსა და ოთხ ცხოველს შორის და უხუცესებს შორის იდგა კრავი, როგორც დაკლული, და მას ჰქონდა შვიდი რქა და

შვიდი თვალი, რომლებიც ღვთის შვიდი სულია, წარმოგზავნილი მთელ ქვეყანაზე.

7 და მოვიდა და აიღო წიგნი ტახტზე მჯდომარის მარჯვნიდან.

8 და როცა მან აიღო წიგნი, ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უხუცესი დაემხო კრავის წინ. ყოველ მათგანს ხელთ ებყრა ქნარი და საკმევლებით სავსე ოქროს თასები, რომლებიც წმიდათა ლოცვებია.

9 გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: „შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან.“

10 და შეუქმენი ისინი ჩვენს ღმერთს სამეფოდ და მღვდლებად, და იმეფებენ მიწაზე“.

11 ვიხილე და მოვისმინე მრავალი ანგელოზის ხმა ტახტის, ცხოველებისა და უხუცესების ირგვლივ, და მათი რიცხვი იყო ათიათას-

ჭერ ათიათასი და ათასჯერ ათასი,

12 რომლებიც დიდი ხმით ლაპარაკობდნენ: „ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა“.

13 და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და მიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, მესმოდა, რომ ამბობდა: „ტახტზე მჯდომსა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე“.

14 და თქვა ოთხმა ცხოველმა: „ამინ“. ოცდაოთხი უხუცესი დაემხო და თაყვანი სცა ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე.

ოთხი მხედარი

6 ვიხილე, რომ კრავმა ახსნა ერთი ბეჭედი შვიდთაგან და მომესმა, ოთხიდან ერთი ცხოველი თითქოს ქუბილის ხმით ლაპარაკობდა: „მოდი“.

2 შევხედე და, აჰა, თეთრი ცხენი და ზედ მხედარი,

რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰქონდა გვირგვინი. და გამოვიდა გამარჯვებული, რათა გაემარჯვა.

3 როცა ახსნა მეორე ბეჭედი, მომესმა ხმა მეორე ცხოველისა, რომელიც ამბობდა: „მოდი და იხილე“.

4 გამოვიდა მეორე ცხენი, წითელი. მის მხედარს მიცემული ჰქონდა მიწიდან მშვიდობის წაღების ნება, რათა ერთმანეთი დაეხოცათ. მიცემული ჰქონდა დიდი მახვილი.

5 როცა მესამე ბეჭედი ახსნა, მომესმა ხმა მესამე ცხოველისა, რომელიც ამბობდა: „მოდი და იხილე“. ვიხილე, აჰა, შავი ცხენი და მის მხედარს ხელში სასწორი ეპყრა.

6 ოთხი ცხოველის შუაგულიდან მომესმა ხმა, რომელიც ამბობდა: „საწყაო ხორბალი დინარად და სამი საწყაო ქერი დინარად, ხოლო ზეთსა და ღვინოს ნურას ავნებ“.

7 როცა მეოთხე ბეჭედი ახსნა, მომესმა მეოთხე ცხო-

ველის ხმა, რომელიც ამბობდა: „მოდი და იხილე“.

8 შევხედე, და აჰა, ყვიციანი ცხენი და მისი მხედარი, რომლის სახელი სიკვდილია. ჯოჯოხეთი მოყვებოდა მას და მიცემული ჰქონდათ ხელმწიფება მიწის მეოთხედ ნაწილზე, რომ დაეხოცათ მახვილით და შიმშილით, ჭირით და მიწის მხეცებით.

9 როცა მეხუთე ბეჭედი ახსნა, სამსხვერპლოს ქვეშ დავინახე სულები დახოცილთა ღვთის სიტყვისათვის და მოწმობისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ.

10 დიდი ხმით ღალადებდნენ და ამბობდნენ: „ხელმწიფევ, წმიდაო და ჭეშმარიტო, როდემდე არ განიკითხავ და არ იძიებ შურს მიწის მცხოვრებლებზე ჩვენი სისხლისათვის“.

11 მიეცა თითოეულ მათგანს თეთრი სამოსელი და ეთქვა, რომ დამშვიდებულიყვნენ კიდევ ცოტა ხანს, ვიდრე მათი თანამორჩილნი და მათი ძმები, რომელნიც მათსავით მოკლულნი იქნე-

ბიან, არ შეასრულებენ რიცხვს.

12 როცა მეექვსე ბეჭედი ახსნა, ვიხილე, აჰა, მოხდა დიდი მიწისძვრა, მზე გაშავდა, როგორც ბალნის ძაძა, და მთვარე მთლიანად სისხლივით გახდა.

13 ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ, როგორც ძლიერი ქარით შერხეულ ლელვის ხეს გასცვივა მკვანე ლელვი.

14 ცა გაუჩინარდა დაგრაგნილი წიგნივით. ყოველი მთა და კუნძული დაიძრა თავისი ადგილიდან.

15 მიწის მეფეები და მთავრები, ათასისთავები, მდიდრები და ძლიერები, ყოველი მონა და თავისუფალი მიიმალნენ მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში.

16 უთხრეს მთებსა და კლდეებს: „ზედ დაგვემხეთ და დაგვმალეთ ტახტზე მკდომარის პირისაგან და კრავის რისხვისაგან.“

17 ვინაიდან მოვიდა მათი დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?“

**ბეჭედასმენი ისხაელის
ყოველი ტომიდან**

7 ამის შემდეგ ვიხილე მიწის ოთხ მხარეს მდგარი ოთხი ანგელოზი, რომელთაც ეპყრათ მიწის ოთხი ქარი, რომ არ ექროლა ქარს არც მიწაზე, არც ზღვაზე, არც რომელიმე ხეზე.

2 ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლიდან ამომაგალი, ცოცხალი ბეჭდის მქონე, და დიდი ხმით შესძახა ოთხ ანგელოზს, რომელთაც ნება ჰქონდათ მიცემული, ევნოთ მიწისა და ზღვისათვის, და უთხრა:

3 „ნუ დააზიანებთ მიწას, ზღვასა და ხეს, ვიდრე ბეჭდებს უშებლებზე დავასვამდეთ“.

4 მომესმა ბეჭედდასმულთა რიცხვი: ას ორმოცდაოთხი ათასი ბეჭედდასმული, ისრაელიანთა თითო ტომიდან თორმეტი ათასი;

5 იუდას ტომიდან თორმეტი ათასი ბეჭედდასმული; რეუბენის ტომიდან თორმეტი ათასი; გადის ტომიდან თორმეტი ათასი;

6 აშერის ტომიდან თორმეტი ათასი; ნეფთალის ტომიდან თორმეტი ათასი; მენაშეს ტომიდან თორმეტი ათასი;

7 სიმონის ტომიდან თორმეტი ათასი; ლევის ტომიდან თორმეტი ათასი; ისაქარის ტომიდან თორმეტი ათასი;

8 ზებულუნის ტომიდან თორმეტი ათასი; იოსების ტომიდან თორმეტი ათასი; ბენიამინის ტომიდან თორმეტი ათასი ბეჭედდასმული.

**ციცხლი ხალხი ყოველი
ჯიხიდან თეთი სამოსლით**

9 ამის შემდეგ ვიხილე: აჰა, უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, ხალხებიდან და ენებიდან. იდგნენ ტახტის წინაშე და კრავის წინაშე თეთრი სამოსელით შემოსილნი და პალმებით ხელში.

10 იძახდნენ დიდი ხმით და ამბობდნენ: „ხსნა ჩვენს ღმერთს, ტახტზე მკდომარეს, და კრავს!“

11 ყველა ანგელოზი იდგა ტახტის, უხუცესებისა და

ოთხი ცხოველის ირგვლივ. და პირქვე დაემხნენ ტახტის წინაშე და თაყვანი სცეს ღმერთს.

12 ამბობდნენ: „ამინ! კურთხევა, დიდება, სიბრძნე, მადლობა, პატივი, ძალა და სიმაგრე ჩვენს ღმერთს უკუნიითი უკუნისამდე. ამინ“.

13 მომიგო ერთმა უხუცესთაგანმა და მითხრა: „ეს თეთრი სამოსლით შემოსილები ვინ არიან ან საიდან მოვიდნენ?“

14 მე ვუთხარი მას: „უფალო ჩემო, შენ იცი“. და მან მითხრა: „ესენი არიან დიდი გასაჭირიდან მოსულები. გაირეცხეს თავიანთი სამოსელი და გაათეთრეს ისინი კრავის სისხლით.“

15 ამიტომ არიან ღვთის ტახტის წინ და ემსახურებიან მას დღე და ღამე მის ტაძარში. და ტახტზე მჯდომარე გაშლის თავის კარავს მათზე.

16 აღარ მოშივდებათ, აღარც მოსწყურდებათ, აღარც მზე დასწვავთ და არავითარი პაპანაქება.

17 ვინაიდან კრავი, რომელიც ტახტის შუაშია, აძოვებს მათ და სიცოცხლის წყლის წყაროებზე მიიყვანს, და მოსწმედს მათ ღმერთი თვალთაგან ყველა ცრემლს“.

მეშვიდე ბეჭის მოხსნა

8 როცა მეშვიდე ბეჭედი ახსნა, დუმილი ჩამოვარდა ცაში ასე ნახევარ საათს.

2 ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც ღვთის წინაშე იდგნენ. და მიეცა მათ შვიდი საყვირი.

3 მოვიდა სხვა ანგელოზი და დადგა სამსხვერპლოსთან და ოქროს საცეცხლური ებყრა, და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვებთან ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ.

4 ავიდა საკმეველის კვამლი წმიდათა ლოცვებთან ერთად ანგელოზის ხელით ღვთის წინაშე.

5 აიღო ანგელოზმა საცეცხლური, აავსო იგი ცეცხლით სამსხვერპლოდან და ჩამოაგდო მიწაზე. და იქმნა

ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და მიწისძვრა.

6 შვიდი ანგელოზი, რომელთაც შვიდი საყვირი ჰქონდათ, მოემზადა დასაყვირებლად.

შვიდი ანგელოზი საყვირებით

7 პირველმა დააყვირა საყვირს და წარმოიშვა სისხლნარევი სეტყვა და ცეცხლი და გადმოგდებულ იქნა მიწაზე. მიწის მესამედი დაიწვა, ხეების მესამედი დაიწვა და მწვანე ბალახი მთლიანად გადაიბუგა.

8 მეორე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და რაღაც მსგავსი აღმოდებული დიდი მთისა გადმოგდებულ იქნა ზღვაში. და ზღვის მესამედი სისხლად იქცა.

9 ამოწყდა ზღვაში სულდგმულთა მესამედი და ხომალდების მესამედი.

10 მესამე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირალდანივით იწვოდა და ჩავარდა მდინა-

რეთა მესამედ ნაწილზე და წყლების წყაროებზე.

11 ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა. წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, ვინაიდან დამწარდნენ ისინი.

12 მეოთხე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და მოისპო მზის მესამედი, მთვარის მესამედი და ვარსკვლავთა მესამედი, რათა დაბნელებულიყო მათი მესამედი და დღის მესამედს აღარ ენათებინა, ისევე როგორც ღამისას.

13 ვიხილე და მოვუსმინე ერთ არწივს, რომელიც ცის შუაში დაფრინავდა და დიდი ხმით ამბობდა: „ვაი, ვაი, ვაი მიწაზე მცხოვრებთ სამი ანგელოზის საყვირთა დანარჩენი ხმებისაგან, რომელთაც მოუწევთ დაყვირება“.

მეხუთე საყვირი

9 მეხუთე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ვიხილე ციდან მიწაზე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი, და მიე-

ცა მას უფსკრულის ჭურღმულის კლიტე.

2 მან გახსნა უფსკრულის ჭურღმული და ამოვარდა კვამლი ჭურღმულიდან, როგორც დიდი ღუმლის კვამლი. და დაბნელდა მზე და ჰაერი ჭურღმულის კვამლისაგან.

3 კვამლიდან გამოვიდნენ კალიები მიწაზე და მიეცა მათ ძალა, როგორც აქვთ ძალა მიწის მორიელთ.

4 ეთქვა მათ, რომ არ დაეზიანებინათ მიწის ბალახეულობა, და არავითარი მწვანელოეულობა და არავითარი ხე, არამედ მხოლოდ ადამიანები, რომელთაც შუბლზე არა აქვთ ღვთის ბეჭედი.

5 მიეცათ ნება მათ არ დაეხოცათ ისინი, არამედ მხოლოდ ეწამებინათ ხუთ თვეს. და ჰგავს მათი წამება წამებას მორიელისაგან, როდესაც უკბენს ადამიანს.

6 იმ დღეებში ადამიანები სიკვდილს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვიან მას. ინატრებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაექცევა მათ.

7 შესახედაობით კალიები წააგავდნენ სამრად გამზადებულ ცხენებს. მათ თავებზე გვირგვინები იყო, მსგავსი ოქროსი, და მათი სახეები – როგორც ადამიანთა სახეები.

8 ჰქონდათ თმები, როგორც დედაკაცთა თმები, ხოლო მათი კბილები იყო, როგორც ლომისანი.

9 ჰქონდათ ჯავშანი, როგორც რკინისა, ხოლო მათი ფრთების ხმა, როგორც გრიალი მრავალი ეტლისა და ცხენისა, სამრად რომ მიიჩქარიან.

10 ჰქონდათ კუდები, მსგავსნი მორიელთა, და ნესტრები. და მათ კუდებში იყო მათი ხელმწიფება ხუთ თვეს ადამიანთა საწამებლად.

11 მეფედ ჰყავდათ უფსკრულის ანგელოზი, რომელსაც ებრაულად ჰქვია აბადონი, ხოლო ბერძნულად აქვს სახელი აპოლიონი.

12 ერთი უბედურება წავიდა, აჰა, მოდის მის შემდეგ კიდევ ორი.

მეექვსე საყვიხი

13 მეექვსე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და მომესმა ერთი ხმა ღვთის წინაშე მდგარი ოქროს სამხსვერპლოს ოთხი რქისაგან,

14 ეუბნებოდა მეექვსე ანგელოზს, რომელსაც ჰქონდა საყვირი: „ახსენი ოთხი ანგელოზი, რომლებიც დაბმულნი არიან დიდ მდინარე ევფრატზე.“

15 და ახსნილ იქნა ოთხი ანგელოზი. მზად იყვნენ ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელიწადს, ადამიანთა მესამედის ამოსაწყვეტად.

16 ცხენოსანთა ჯარის რიცხვი იყო ორასი ათასჯერ ათასი და მოვისმინე მათი რიცხვი.

17 ასეთ ჩვენებაში ვიხილე ცხენები და მხედრები, რომელთაც ჰქონდათ ცეცხლოვანი, ცისფერი და გოგირდოვანი ჯავშნები, და ცხენის თავები, როგორც ლომთა თავები, და მათ პირთაგან გამოდიოდა ცეცხლი, კვამლი და გოგირდი.

18 ამ სამი წყლულისაგან – ცეცხლის, კვამლისა და გო-

გირდისაგან, რომლებიც მათ პირიდან გამოდიოდა, დაიხოცა ადამიანთა მესამედი ნაწილი.

19 ვინაიდან ცხენთა ძალა მათ პირებსა და მათ კუდებს შია. ხოლო მათი კუდები ჰგავდნენ გველებს და ჰქონდათ თავები, რომლებითაც ხალხს ვნებდნენ.

20 დანარჩენმა ადამიანებმა კი, რომლებიც ამ წყლულებით არ დახოცილან, არ მოინანიეს თავიანთი ხელის ნამოქმედარნი, რომ თაყვანი არ ეცათ ეშმაკებისათვის, ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ქვისა და ხის კერპებისათვის, რომელთაც არც ხილვა შეუძლიათ, არც მოსმენა და არც სიარული.

21 არ მოინანიეს თავიანთი ჩადენილი მკვლევლობანი, არც თავიანთი გრძნეულებანი, არც თავიანთი მეძაობა, არც თავიანთი ქურდობანი.

**ძლიერი ანგელოზი
გადამილი ნიგნით**

10 ვიხილე სხვა ანგელოზი, ძლიერი, ციდან ჩა-

მომავალი, ღრუბლით შემოსილი, თავზე ცისარტყელით. მისი სახე იყო, როგორც მზე, და მისი ფეხები, როგორც ცეცხლის სვეტები.

2 ხელთ ჰქონდა გადაშლილი პატარა წიგნი. მარჯვენა ფეხი ზღვას დააბიჯა, ხოლო მარცხენა – მიწას.

3 და დაიძახა დიდი ხმით, როგორც ლომი ღრიალებს, და როდესაც დაიძახა, თავთავისი ხმით ალაპარაკდა შვიდი ქუხილი.

4 როცა შვიდი ქუხილი ლაპარაკობდა თავთავისი ხმით, ჩაწერა დავაპირე და ჩამომესმა ხმა ციდან, რომელმაც მითხრა: „დაბეჭდე, რასაც ლაპარაკობდა შვიდი ქუხილი, და ნუ დაწერ ამას“.

5 ანგელოზმა კი, რომელიც ვიხილე ზღვასა და მიწაზე მდგომი, ცისაკენ აღაბურთ თავისი მარჯვენა ხელი

6 და დაიფიცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი, რომელმაც შექმნა ცა და რაც მასშია, მიწა და რაც მასშია, ზღვა და რაც მასშია, რომ დრო აღარ იქნება.

7 ანგელოზის ხმის დღეებში, როცა ის დააყვირებს საყვირს, აღსრულდება ღვთის საიდუმლო, როგორც მან ახარა თავის მსახურთ – წინასწარმეტყველებს.

8 ხმა, რომელიც მოვისმინე ციდან, კვლავ დამელაპარაკა და მითხრა: „მიდი და აიღე გადაშლილი პატარა წიგნი, რომელიც იმ ანგელოზის ხელშია, ზღვასა და მიწაზე რომ დგას“.

9 მივედი ანგელოზთან და ვუთხარი მას: „მომეცი მომცრო წიგნი“. მან მითხრა: „აიღე და შეჭამე იგი, და მწარეს გახდის შენს მუცელს, მაგრამ შენს პირში თაფლივით ტკბილი იქნება“.

10 ავიღე პატარა წიგნი ანგელოზის ხელიდან და შეეჭამე იგი, და თაფლივით მეტკბო პირში და, როცა შეეჭამე იგი, მუცელი გამიმწარდა.

11 მითხრეს: „შენ მოგიწევს კვლავ იწინასწარმეტყველო ხალხებსა და ერებზე, ენებსა და მრავალ მეფეზე“.

ღვთის მიხი მონამე,
სიკვილი და ზეცაში
სხვდა

11 მომეცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი და ითქვა ჩემს მომართ: „ადექი და გაზომე ღვთის ტაძარი და სამსხვერპლო, და მასში თაყვანისმცემლები.

2 ხოლო ტაძრის გარე ეზო გამორიცხე და არ გაზომო, ვინაიდან წარმართებს მიეცა იგი: ისინი ორმოცდაორ თვეს გათელავენ წმიდა ქალაქს.

3 მივცემ ჩემს ორმოწამეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოცდღეს ძაძებით მოსილნი.“

4 ესენია ზეთისხილის ხე და ორი სასანთლე, რომლებიც მიწის უფლის წინაშე დგას.

5 თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან და შთანთქავს მათ მტრებს. და თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ის უნდა მოიკლას.

6 მათ აქვთ ხელმწიფება დაუმანონცა, რათა არ მოვიდეს წვიმა მათი წინასწარმეტყვე-

ლების დღეებში. აქვთ ხელმწიფება წყლებზე, რომ აქციონ ისინი სისხლად და შემეუსრონ მიწა ყოველგვარი წყლოვით, როცა კი მოისურვებენ.

7 როცა ისინი დაამთავრებენ თავიანთ მოწმობას, უფსკრულიდან ამომავალი მხეცი შეებრძოლება მათ, გაიმარჯვებს და დახოცავს მათ.

8 მათი გვამები ეყრება დიდი ქალაქის ქუჩაში, რომელსაც სულიერად ჰქვია სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს ეცვა მათი უფალიც.

9 სამნახევარ დღეს ხალხთაგან და ტომთაგან, ენათაგან და ერთაგან უყურებენ მათ გვამებს და არ მისცემენ მათი გვამების სამარხში დაკრძალვის ნებას.

10 მიწაზე მცხოვრებნი გაიხარებენ მათზე და იმხიარულებენ, და გაუგზავნიან ერთმანეთს საჩუქრებს, ვინაიდან ეს ორი წინასწარმეტყველი აწამებდა მიწის მკვიდრთ.

11 სამნახევარი დღის შემდეგ კი შევიდა მათში სიკოცხლის სული ღვთისაგან

და ფეხზე დადგნენ. დიდი შიში დაეცა ყველას, ვინც მათ უყურებდა.

12 იყო დიდი ხმა ციდან, რომელმაც უთხრა მათ: „ამოდით აქ“. ისინი ღრუბლით ავიდნენ ზეცას და მათმა მტრებმა დაინახეს ისინი.

13 იმავე საათს მოხდა მიწისძვრა და ქალაქის მეათედი დაიქცა, და დაიღუპა მიწისძვრისაგან შვიდი ათასი კაცი. დანარჩენები კი შიშმა მოიცვა და დიდება მიაგეს ზეციერ ღმერთს.

14 მეორე უბედურებამ გადაიარა და აჰა, მესამე უბედურება მოვა მალე.

მეშვიდე საყვირი

15 მეშვიდე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და გაისმა ცაში დიდი ხმები, რომლებიც ამბობდნენ: „სოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე“.

16 ღვთის წინაშე თავიანთ ტახტებზე მჯდომი ოცდაოთხი უხუცესი პირქვე დაემხო და თაყვანი სცა ღმერთს.

17 და თქვეს: „გმადლობთ შენ, უფალო, ღმერთო ყოვლისმბყრობელო, რომელიც ხარ, რომელიც იყავი და რომელიც მოხვალ, რომ მოიღე შენი დიდი ძალა და გამეფდი.“

18 გამძვინვარდნენ წარმართები და მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ და საზღაურის მიეცეთ შენს მსახურს – წინასწარმეტყველებს და წმიდებს და მათ, რომელთაც შენი სახელის ეშინიათ – დიდებს და პატარებს, და მოსპობ მიწის მომსპობნი“.

19 გაიღო ღვთის ტაძარი ცაში და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში. და იქმნა ელვანი და ხმანი, ქუხილნი და მიწისძვრა და დიდი სეტყვა.

ნოთედი გველეშაპი

12 გამოჩნდა ცაში დიდი ნიშანი – დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე. მის ფერხითთ იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით.

2 ფეხმძიმედ იყო და ყვიროდა, იტანჯებოდა მშობიარის ტკივილებით.

3 სხვა ნიშანიც გამოჩნდა ცაში: აჰა, დიდი წითელი გველეშაპი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა, და თავებზე შვიდი ჯილა.

4 მისმა კუდმა ციდან წამოათრია ვარსკვლავების მესამედი და მოისროლა მიწაზე. გველეშაპი კი დადგა დედაკაცის წინ, რომელსაც უნდა ემშობიარა, რათა, როგორც კი შობდა, გადაეყლაბა მისი ბავშვი.

5 და შვა ძე, ვაჟი, რომელმაც უნდა მწყემსოს ყველა ხალხი რკინის კვერთხით. და ატაცებულ იქნა მისი ბავშვი ღმერთთან და მის ტახტთან.

6 დედაკაცი კი გაიქცა უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღვთისაგან, რათა იქ გამოეკვებათ იგი ათას ორას სამოც დღეს.

ომი ზეცაში

7 შეიქნა ცაში ომი: მიქაელი და მისი ანგელოზები ებ-

რძოდნენ გველეშაპს. შეებრძოდნენ გველეშაპი და მისი ანგელოზები,

8 მაგრამ ვერ გაუძლეს და აღარც ადგილი აღმოჩნდა მათთვის ცაში.

9 გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი მსოფლიოს მაცდუნებელი. და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად.

10 მომესმა დიდი ხმა, რომელიც ლაპარაკობდა ცაში: „ახლა დადგა ჩვენი ღვთის ხსნა, ძალა და სუფევა და მისი ქრისტეს ხელმწიფება, ვინაიდან გადმოგდებულ იქნა ჩვენი ძმების ცილისმწამებელი, რომელიც ცილს სწამებდა მათ დღე და ღამე ჩვენი ღვთის წინაშე.“

11 გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს მათი სული თვით სიკვდილამდე.

12 აბა, იმხიარულეთ, ცანო და თქვენ, ვინც მათში მკვიდრობთ! ვაი, მიწასა და ზღვას,

ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან იცის, რომ დრო მცირეა და რჩა“.

დედაკაცის ევნა ბველეშაპის მიუხ

13 როცა გველეშაპმა დაინახა, რომ გადმოვდებულ იქნა მიწაზე, დაედევნა დედაკაცს, რომელმაც ვაჟი შვა.

14 მიეცა დედაკაცს დიდი არწივის ორი ფრთა უდაბნოში გასაფრენად, თავისი ადგილისაკენ, სადაც იკვებებოდა დროის, დროთა და ნახევარი დროის განმავლობაში, გველისგან მოშორებით.

15 ამოუშვა გველმა თავისი პირიდან მდინარესავით წყალი დედაკაცის კვალდაკვალ, რათა მდინარეს წაეღეკა იგი.

16 მაგრამ მიწა დაეხმარა დედაკაცს და დაალო მიწამ პირი და შთანთქა მდინარე, რომელიც გველეშაპმა ამოუშვა პირიდან.

17 განრისხდა გველეშაპი დედაკაცზე და წავიდა, რათა შებრძოლებოდა დანარ-

ჩენებს მისი მოდგმიდან, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და რომელთაც აქვთ იესოს მოწმობა.

შვიდთავიანი და ათიქიანი მხეცის ხილვა

13 დავინახე ზღვიდან ამოვალაი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა. რქებზე – ათი გვირგვინი და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები.

2 მხეცი, რომელიც მე ვინახილე, ჰგავდა ავაზას. მისი ფეხები – როგორც დათვისა, მისი პირი – როგორც ლომის ხახა. მისცა მას გველეშაპმა თავისი ძალა, თავისი ტახტი და დიდი ხელმწიფება.

3 ვინახილე, ერთი მის თავთავან თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა და განცვიფრდა მთელი მიწა და უკან გაედევნა მხეცს.

4 თაყვანი სცეს გველეშაპს, რადგან ხელმწიფება მისცა მხეცს. თაყვანს სცემდნენ მხეცს და ამბობდნენ:

„ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან უბრძოლვება?“

5 მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკა და დაეგმო ღმერთი. მიეცა მას ხელმწიფება სამოქმედოდ ორმოცდაორ თვეს.

6 გაალო მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებულნი.

7 ნება მიეცა მას, რომ ეომა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე. მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე.

8 თაყვანი სცა მას მიწის ყველა მკვიდრმა, რომელთა სახელებიც ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს სოფლის დასაბამიდან დაკლულ კრავს.

9 ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

10 ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც ტყვედ წავა. ვინც მახვილით ჰკლავს, თვითონაც მახვილით მოკვდება. ამაშია წმიდათა მოთმინება და რწმენა.

ოხიქიანი მხეცი

11 ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამოძვალი. მას ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა, როგორც გველეშაბი.

12 იგი მოქმედებდა პირველი მხეცის სრული ხელმწიფებით მის წინაშე და აიძულებდა მიწას და მის მკვიდრთ თაყვანი ეცათ პირველი მხეცისთვის, რომელსაც განეკურნა სასიკვდილო ჭრილობა.

13 ახდენდა დიდ სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან მიწაზე ადამიანთა წინაშე.

14 აცდუნებდა მიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად, და ეუბნებოდა მიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისაგან და რომელიც გაცოცხლდა.

15 მიეცა უფლება მხეცის ხატებისათვის სულის ჩასაბერად, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე,

რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატებას.

16 აიძულა ყველა – პატარები და დიდები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები – მიეღოთ ნიშანი მარჯვენა ხელზე ან შუბლზე.

17 რომ არავის შეძლებოდა ყიდვა-გაყიდვა, იმათ გარდა, ვისაც ექნებოდა ნიშანი – მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი.

18 აქ არის სიბრძნე. ვისაც გაგება აქვს, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, რადგან რიცხვი ადამიანისაა და მისი რიცხვია ექვსას სამოცდაექვსი.

იხავი დგას სიონის

მთაზე თავის

გამოსყიდებთან ერთად

14 ვიხილე: აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან ასოცდაოთხი ათასი, რომელთაც შუბლებზე აწერიათ მისი სახელი და მისი მამის სახელი.

2 გავიგონე ხმა ზეციდან, როგორც მრავალი წყლის ხმა

და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა. და ხმა, რომელიც გავიგონე, ჰგავდა მექნარეთა ხმას, ქნარზე რომ უკრავენ.

ვისინი გალობდნენ ახალ საგლობელს ტახტის წინაშე და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე. და არავის შეეძლო ამ საგლობლის შესწავლა, გარდა მიწისაგან გამოსყიდული ასორმოცდაოთხი ათასისა.

4 ეს ისინი არიან, რომლებიც არ წაბილწულან დედაკაცებთან, ვინაიდან ქალწულები არიან. ეს ისინი არიან, რომლებიც მიჰყვებიან კრავს, სადაც არ უნდა მიდიოდეს. ისინი არიან ადამიანთაგან გამოსყიდულნი, როგორც პირველნაყოფი ღვთისა და კრავისათვის.

5 სიცრუე არ აღმოჩნდა მათ ბაგეში. ისინი უბიწონი არიან ღვთის ტახტის წინაშე.

სამი ანგელოზი აცხადებს ღვთის სამსჯავის მოახლოებას

6 ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ზეცის შუა დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადი-

ული სახარება, მიწის მკვიდრთათვის – ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად.

7 ამბობდა დიდი ხმით: „გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს უამი. თაყვანი ეცით ცისა და მიწის, ზღვისა და წყალთა წყაროების შემქმნელს“.

8 სხვა ანგელოზი მოჰყვა და თქვა: „დაეცა დიდი ბაბილონი, რომელმაც თავისი მძვინვარე მეძაობის ღვინო ასვა ყველა ხალხს“.

9 მესამე ანგელოზი მოჰყვა მათ და თქვა დიდი ხმით: „ვინც თაყვანსა სცემს მხეცს და მის ხატებას და მიიღებს ნიშანს შუბლზე ან ხელზე,

10 ის შესვამს ღვთის მძვინვარების ღვინისაგან, რომელიც მისი რისხვის თასში არის შემზადებული შეუზავებლად, და დაიტანჯება ცეცხლსა და გოგირდში წმიდა ანგელოზებისა და კრავის წინაშე.

11 მათი წამების კვამლი იდინებს უკუნითი უკუნისა-

მდე და არ ექნებათ მოსვენება არც ღღისით და არც ღამით მხეცისა და მისი ხატების თაყვანისმცემლებს და მათ, ვინც იღებს მისი სახელის ნიშანს.“

12 აქაა წმიდათა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას.

ნეტახება უფაღში დახოცილებისა

13 გავიგონე ხმა ციდან, რომელიც მეუბნებოდა: „დაწერე: ნეტარ არიან მკვდარნი, რომელნიც ამიერიდან უფაღში იხოცებიან. დიახ, ამბობს სული, რათა განისვენონ თავიანთ შრომათაგან. მათი საქმეები თან წაჰყვება მათ“.

ჟაცის ძე განიჯითხავს, ხოგოხუ მჯისას

14 ვიხილე: აჰა, თეთრი ღრუბელი და ღრუბელზე კაცის ძის მსგავსი. თავზე ოქროს გვირგვინი ჰქონდა და ხელში – ბასრი ნამგალი.

15 სხვა ანგელოზი გამოვიდა ტაძრიდან და დიდი ხმით

შესძახა ღრუბელზე მჯდომს: „გაგზავნე შენი ნამგალი და მომკე, ვინაიდან დადგა მკის ყუმი, რადგან მოიწია სამკალი მიწაზე.“

16 ღრუბელზე მჯდომმა გადმოაგდო თავისი ნამგალი მიწაზე და მოიმკა მიწა.

17 სხვა ანგელოზი გამოვიდა ტაძრიდან, რომელიც ცაშია, და მასაც ჰქონდა ბასრი ნამგალი.

18 სამსხვერპლოდან გამოვიდა სხვა ანგელოზი, რომელსაც ხელმწიფება ჰქონდა ცეცხლზე, და დიდი ხმით შესძახა მას, ვისაც ბასრი ნამგალი ჰქონდა: „გაგზავნე შენი ბასრი ნამგალი და მოკრიფე მიწის ვაზის მტევნები, ვინაიდან დამწიფდა მათი მარცვლები.“

19 გადმოაგო ანგელოზმა თავისი ნამგალი მიწაზე და მოკრიფა მიწის ვაზებიდან და ჩაყარა ღვთის მძვინვარების დიდ საწნახელში.

20 და დაიწინება საწნახელი ქალაქგარეთ და გამოვიდა სისხლი საწნახლიდან და მისწვდა ცხენების

ადვირებასაც კი, ათას ექვსას სტადიონამდე.

შვიდი ანგელოზი შვიდი ნყელით

15 ვიხილე სხვა ნიშანი ცაში, დიდი და საკვირველი: შვიდი ანგელოზი შვიდი უკანასკნელი წყლულით, რომლებითაც თავდებოდა ღვთის მძვინვარება.

2 ვიხილე თითქოს მინის ზღვა, ცეცხლნარევი, და მძლეველნი მხეცისა, მისი ხატებისა და მისი სახელის რიცხვისა. იდგნენ მინის ზღვაზე და ებყრათ ღვთის ქნარები.

3 გალობდნენ ღვთის მსახურის მოსეს გალობას და კრავის გალობას და ამბობდნენ: „დიდია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო, ღმერთო ყოვლისმბყრობელო! წრფელი და ჭეშმარიტია შენი გზები, ხალხთა მეფეო!“

4 ვის არ შეეშინდება, უფალო, და არ ადიდებს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმიდა. ყვე-

ლა ერი მოვა და თაყვანს გცემს შენ, ვინაიდან გამოჩნდნენ შენი სამართალნი“.

5 ამის შემდეგ ვიხილე: აჰა, გაიხსნა მოწმობის სავანის ტაძარი ზეცაში.

6 გამოვიდა ტაძრიდან შვიდი ანგელოზი, შვიდი წყლულის მქონე, წმიდა და ნათელი სელის სამოსლით შემოსილი, რომელთაც მკერდზე ოქროს სარტყლები ერტყათ.

7 ოთხ ცხოველთაგან ერთმა მისცა შვიდ ანგელოზს ოქროს თასი, ცოცხალი ღვთის მძვინვარებით სავსე უკუნიითი უკუნისამდე.

8 აივსო ტაძარი კვამლით ღვთის დიდებისა და მისი ძალისაგან, და ვერავინ შეძლო ტაძარში შესვლა, ვიდრე არ დასრულდა შვიდი ანგელოზის შვიდი წყლული.

**ღვთის მძვინვარების
შვიდი თასის გადმოღვრა
მინაზე**

16 გავიგონე ტაძრიდან დიდი ხმა, რომელიც ეუბნებოდა შვიდ ანგე-

ლოზს: „წადით და მიწაზე გადაღვარეთ ღვთის მძვინვარების შვიდი თასი“.

2 წავიდა პირველი და გადმოღვარა მიწაზე თავისი თასი. და გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანებს, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატებას სცემდნენ თაყვანს.

3 გადმოღვარა მეორემ თავისი თასი ზღვაზე და იქცა სისხლად, როგორც მკვდრისაგან, და დაიხოცა ყოველი სულდგმული ზღვაში.

4 გადმოღვარა მესამემ თავისი თასი მდინარეებსა და წყალთა წყაროებზე, და იქცა სისხლად.

5 გავიგონე, წყლების ანგელოზი რომ ამბობდა: „მართალი ხარ შენ, რომელიც ხარ და იყავი, წმიდაო, რადგანაც ასე განიკითხე.“

6 ვინაიდან მათ დაღვარეს წმიდათა და წინასწარმეტყველთა სისხლი, და შენ მიეცი მათ სასმელად სისხლი, ვინაიდან დაიმსახურეს“.

7 გავიგონე სამსხვერპლო რომ ამბობდა: „დაიხ, უფა-

ლო, ღმერთო ყოვლისმპყრობელო, ჭეშმარიტი და სამართლიანია შენი განკითხვანი“.

8 გადმოღვარა მეოთხემ თავისი თასი მზეზე და მიეცა მას, რომ ცეცხლით დაეწვა ადამიანები.

9 იწვოდნენ ადამიანები დიდი სიციხით და გმობდნენ ღვთის სახელს, რომელსაც ხელმწიფება აქვს ამ წყლულებზე, და არ მოინანიეს, რომ დიდება მიეგოთ მისთვის.

10 გადმოღვარა მეხუთემ თავისი თასი მხეცის ტახტზე და დაბნელდა მისი სამეფო და ტკივილისაგან ენებს იკვნიტდნენ.

11 გმობდნენ ზეციერ ღმერთს თავიანთი ტკივილებისა და ჭრილობების გამო და არ მოინანიეს თავიანთი საქმეები.

12 გადმოღვარა მეექვსემ თავისი თასი დიდ მდინარეზე – ევფრატზე და დაშრა მისი წყალი, რათა გამზადებული ყოფილიყო გზა იმ მეფეთათვის, მზის აღმოსავლიდან რომ მოდიან.

13 ვიხილე როგორც გველეშაბისა და მხეცის, ისე ცრუწინასწარმეტყველის პირიდან გამოსული სამი უწმიდური სული, როგორც ბაყაყები.

14 ესენი ეშმაკის სულები არიან. ისინი ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი საომრად ყოვლისმპყრობელი ღვთის დიდი ღლისათვის.

15 აჰა, მოვდივარ, როგორც მპარავი. ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავს თავის სამოსელს, რათა შიშველმა არ იაროს და არ დაინახონ მისი სირცხვილი.

16 შეკრიბა ისინი ადგილზე, რომელსაც ებრაულად არმაგედონი ეწოდება.

17 გადმოღვარა მეშვიდემ თავისი თასი ჰაერში და ტახტიდან გამოვიდა დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: „აღსრულდა“.

18 იქმნა ელვანი და ხმანი და ქუხილნი და მოხდა დიდი მიწისძვრა, როგორიც არ მომხდარა მას შემდეგ, რაც

ადამიანი გაჩნდა მიწაზე. ასეთი დიდი იყო ის მიწისძვრა.

19 დიდი ქალაქი დაიყო სამ ნაწილად და წარმართთა ქალაქები დაემხო და მოხსენებულ იქნა დიდი ბაბილონი ღვთის წინაშე, რომ მისცემოდა მას მისი რისხვის მძვინვარების ღვინის თასი.

20 ყველა კუნძული გაიქცა და მთები აღარ იპოვებოდა.

21 ტალანტის სიდიდის სეტყვა წამოვიდა ციდან ადამიანებზე. და გამობდნენ ადამიანები ღმერთს სეტყვის წყლულის გამო, ვინაიდან ძალიან დიდი იყო მისი წყლული.

ხიჯა ბაბილონისა და

შავნითელ მხეცზე

მჯღომი ედაჯაცისა

17 მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგანი, რომელთაც ჰქონდათ შვიდი თასი, დამელაპარაკა და მითხრა: „მოდი და გიჩვენებ სამსჯავროს ბევრ წყალზე მჯღომ დიდ მეძავზე,

2 რომელთანაც მეძაობდნენ მიწის მეფეები და მისი

სიძვის ღვინით თვრებოდნენ მიწის მკვიდრნი“.

3 მან სულით გადამიყვანა უდაბნოში და ვიხილე დედაკაცი, მჭდარი ღვთისსაგამობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე.

4 დიაცი შემოსილი იყო პორფირით და ძოწეულით, მორთული იყო ოქროთი, პატოსანი თვლებით და მარგალიტებით. ხელთ ჰქონდა ოქროს სასმისი, მისი სიძვის სიბილწით და უწმიდურებით სავსე.

5 მის უბლზე ეწერა საიდუმლო სახელი: „დიდი ბაბილონი, მეძავთა და მიწის სიბილწეთა დედა“.

6 დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა და იესოს მოწამეთა სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად.

შვიდთავიანი და

ათიქიანი მხეცი

7 მითხრა ანგელოზმა: „რატომ გიკვირს? მე გეტყვი საიდუმლოს ამ დედაკა-

ცისა და შვიდთავიანი და ათ-
რქიანი მხეცისა, რომელიც
მას ატარებს.

8 მხეცი, რომელიც შენ
იხილე, იყო და არ არის და
ამოვა უფსკრულიდან და
დასალუბად წავა. მიწის
მკვიდრთ, რომელთა სახე-
ლებიც სოფლის შექმნიდან
არ არის ჩაწერილი სი-
ცოცხლის წიგნში, გაუკვირ-
დებათ, როცა დაინახავენ
მხეცს, რომელიც იყო და არ
არის და მოვა.

9 აქ საჭიროა გონება, რო-
მელსაც სიბრძნე აქვს: შვიდი
თავი შვიდი მთაა, რომელ-
ზეც ეს დედაკაცი ზის.

10 მეფენიც შვიდნი არიან:
ხუთი დაეცა, ერთი არის, მე-
ორე კი ჭერ არ მოსულა და,
როცა მოვა, მცირე ხანს დარ-
ჩება.

11 მხეცი, რომელიც იყო
და არ არის, მერვეა შვიდთა
რიცხვიდან და დასალუბად
მიდის.

12 ათი რქა, რომლებიც
შენ იხილე, ათი მეფეა, რო-
მელთაც ჭერ არ მიუღიათ
მეფობა, მაგრამ მხეცთან

ერთად მიიღებენ ხელმწი-
ფებას, როგორც მეფეები
ერთი საათით.

13 მათ აქვთ ერთი აზრი და
თავიანთ ძალასა და ხელმწი-
ფებას მხეცს გადასცემენ.

14 ისინი შეებრძოლებიან
კრავს და კრავი გაიმარჯვებს
მათზე, ვინაიდან ის არის
უფალთ უფალი და მეფეთ
მეფე, და მასთან მყოფი მო-
წოდებულნი რჩეულნი და
სარწმუნონი არიან“.

15 მითხრა მე: „ეს წყლები,
რომლებიც შენ იხილე, სა-
დაც მეძავი ზის, არის ხალ-
ხები და ბრბოები, და ერები
და ენები.“

16 ათი რქა, შენ რომ იხი-
ლე, და მხეცი, შეიძულებენ
მეძავს, დაარბევენ მას და
გააშიშვლებენ, მის ხორცს
შეჭამენ და მას ცეცხლში
დაწვავენ,

17 ვინაიდან ღმერთმა გუ-
ლებში ჩაუდოთ, რომ შეას-
რულონ მისი ნება, შეასრუ-
ლონ ერთი ნება და მისცენ
მათი მეფობა მხეცს, ვიდრე
არ აღსრულდება ღვთის
სიტყვები.

18 ხოლო დედაკაცი, რომელიც უენ იხილე, დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს მეფობა მიწის მეფეებზე.

**ანგელოზი იუნყება
ბაბილონის დაცემას**

18 ამის შემდეგ ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ციდან ჩამოდიოდა და დიდი ხელმწიფება ჰქონდა. მიწა განათდა მისი დიდებით.

2 დაიძახა ძლიერი ხმით და თქვა: „დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფრად, და ყოველი არაწმიდა და ბილწი ფრინველის თავშესაფრად.

3 ვინაიდან მისი გარყვნილების მძვინვარე ღვინისაგან შესვა ყველა ერმა. მიწის მეფეები მეძაობდნენ მასთან და მიწის ვაჭრები მისი ფუფუნების ძალისაგან გამდიდრდნენ“.

ბიძანება ღვთის ხალხს

4 გავიგონე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა:

„გამოერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მის ცოდვებს და არ მიიღო მისი წყლულებისაგან,

5 ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი.

6 მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ და ორმაგად მიაგეთ მისი საქმეების მიხედვით. სასმისში, რომელშიც აზავებდა ღვინოს, ორმაგად შეუზავეთ მას.

7 რაზომადაც განდიდებოდა და ნებივრობდა, იმზომად მიაგეთ ტანჯვა და გლოვა. ვინაიდან ამბობდა თავის გულში: დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და გლოვას არ ვიხილავო.

8 ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვება ცეცხლში, რადგან ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც განიკითხავს მას.

გოდება უნმიღუთა

9 „იტირებენ და იგლოვებენ მას მიწის მეფეები, რომ-

ლებიც მეძაობდნენ და ნებივრობდნენ მასთან, როცა დაინახავენ მისი ხანძრის კვამლს.

10 მისი ტანჯვის შიშის გამო შორს მდგომარენი იტყვიან: 'ვაი, ვაი, დიდო ქალაქო ბაბილონო, ძლიერო ქალაქო, რადგან ერთ საათში მოვიდა შენი განკითხვა.'

11 მიწის ვაჭრები იტირებენ და იგლოვებენ მას, ვინაიდან აღარავინ იყიდის მათ საქონელს,

12 ოქროსა და ვერცხლის საქონელს, პატიოსან თვლებსა და მარგალიტებს, ბისონსა და პორფირს, აბრეშუმსა და ძოწეულს, ყოველგვარ სურნელოვან ხეს და სპილოსძვლის ყოველგვარ ჭურჭელს, ასევე ძვირფასი ხის, სპილენძის, რკინისა და მარმარილოს ყოველგვარ ჭურჭელს,

13 დარიჩინსა და სურნელს, საკმეველსა და ნელსაცხებელს, გუნდრუკს, ღვინოსა და ზეთს, ფქვილსა და ხორბალს, ნახირსა და ცხვრებს, ცხენებსა და ეტ-

ლებს, ადამიანთა სხეულებსა და სულებს.

14 შენი სულის სასურველი ხილის ნაყოფი წავიდა შენგან, ყოველი პოხიერი და ბრწყინვალე გაქრა შენგან და ველარავინ იპოვის მათ.

15 ყოველივე ამით მოვაჭრენი, რომლებიც მისგან გამდიდრდნენ, შორს დადგებიან მისი ტანჯვის შიშით, იტირებენ და იგლოვებენ.

16 იტყვიან: 'ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბისონით, პორფირით და ძოწეულით შემოსილო, ოქროთი, პატიოსანი თვლებითა და მარგალიტით შემკულო,

17 რადგან ერთ საათში დაიღუბა ესოდენ დიდი სიმდიდრე'. და ყოველი მესაჭე და ყველანი, ვინც ცურავს, და მეზღვაურები, ყოველი ზღვაზე მოსაქმე, შორს დადგა.

18 რომ დაინახეს მისი ხანძრის კვამლი, შეჰყვირეს და თქვეს: 'რომელი ქალაქი ჰგავს ამ დიდ ქალაქს?'

19 გადაიყარეს მტვერი თავზე და გაჰკიოდნენ ტირილით და მოთქმით: 'ვაი, ვაი,

დიდო ქალაქო, რომლის ძვირფასეულობებით გამდიდრდა ყველა, ვისაც ხომალდი ჰქონდა ზღვაზე! რადგან ერთ საათში გაპარტახდა.

20 გაიხარეთ მასზე, ცაო და წმიდანო, მოციქულნო და წინასაწარმეტყველნო, რადგან თქვენი სამართალი მოჰკითხა მათ ღმერთმა.“

ბაბილონის დამხობა

21 ასწია ერთმა ძლიერმა ანგელოზმა დიდი დოლაბის მსგავსი ქვა და გადააგდო ზღვაში და თქვა: „ასეთი დაცემით დაემხობა დიდი ქალაქი ბაბილონი და აღარ იქნება.

22 ქნარზე დამკვრელთა და მომღერალოთა, მესტვირეთა და მესაყვირეთა ხმა აღარ გაისმება შენში. აღარ იქნება შენში არავითარი ხელოსანი და ხელოსნობა, და დოლაბის ხმა აღარ გაისმება შენში.

23 სასანთლის ნათელი აღარ გაგინათებს. აღარ გაისმება შენში მეფე-დედოფლის ხმა, რადგან შენი ვაჭრები

იყვნენ მიწის დიდებულები და შენი გრძნეულება აცდუნებდა ხალხს.

24 მასშია ნაპოვნი წინასწარმეტყველთა, წმიდათა და მიწაზე ყველა მოკლულის სისხლი“.

სიხაჟი ბაბილონის დაცემის გამო

19 ამის შემდეგ გავიგონე ცაში დიდი ხმა, როგორც ბევრი ხალხის ხმა, რომელიც ამბობდა: „ალილოუია! ხსნა, დიდება და ძალა ჩვენი ღვთისაა!

2 რადგან ჭეშმარიტნი და სამართლიანნია მისი განკითხვანი, რადგან მან განიკითხა დიდი მეძავი, რომელმაც წარყვნა მიწა თავისი მეძაობით, და იძია თავისი მონების სისხლი მისი ხელიდან“.

3 განმეორებით თქვეს: „ალილოუია! და მისი კვამლი ადის უკუნითი უკუნისამდე“.

4 ოცდაოთხი უხუცესი და ოთხი ცხოველი დაემხნენ და თაყვანი სცეს ტახტზე მკდომარე ღმერთს და ამბობდნენ: „ამინ! ალილოუია!“

5 ტახტიდან გამოვიდა ხმა, რომელიც ამბობდა: „აქებდეთ ჩვენს ღმერთს ყოველნი მისნი მსახურნი, მისნი მოშიშნი, პატარები თუ დიდები“.

6 გავიგონე ხმა, როგორც ბევრი ხალხის ხმა და როგორც ბევრი წყლის ხმა, როგორც ძლიერ ქუხილთა ხმა, რომელიც ამბობდა: „აღილუა! რადგან გამეფდა ჩვენი უფალი, ღმერთი ყოვლისმპყრობელი.“

7 გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა.

8 მიეცა მას, რომ ჩაეცვა ნათელი და წმიდა ბისონი, ვინაიდან წმიდა ბისონი წმიდანთა სამართლიანობაა“.

9 მითხრა მე: „დაწერე: ნეტარნი არიან კრავის საქორწინო ნადიმზე მიწვეულნი“. მითხრა: „ეს ღვთის ჭეშმარიტი სიტყვებია“.

10 დავემხე მის ფერხთით, რომ თაყვანი მეცა მისთვის, მაგრამ მან მითხრა: „ამას ნუ

იზამ. შენი და შენი ძმების თანამსახური ვარ, რომელთაც იესოს მოწმობა აქვთ. თაყვანი ეცი ღმერთს, ვინაიდან იესოს მოწმობა წინასწარმეტყველობის სულია“.

თეთრცხენოსანი მხედარი, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი

11 ვიხილე ცა გახსნილი, და თეთრი ცხენი და მისი მხედარი, წოდებული სარწმუნოდ და ჭეშმარიტად, და სიმართლით განიკითხავს და იბრძვის.

12 მისი თვალები როგორც ცეცხლის ალი, თავზე მრავალი ჯილა ადგია და ზედ წარწერილი აქვს სახელი, რომელიც მის მეტმა არავინ იცის.

13 მოსავს სისხლში ამოვლებული სამოსელი. და ეწოდება სახელად: „ღვთის სიტყვა“.

14 ციური ლაშქარი მისდევს მას თეთრი ცხენებით, თეთრი და წმიდა ბისონით შემოსილი.

15 მისი პირიდან გამოდის

ბასრი მახვილი, რომელიც შემუხრავს ერებს. და იგი დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით. იგი წურავს ყოვლისმპყრობელი ღვთის რისხვის მძვინვარების ღვინის საწნახელს.

16 მის სამოსელზე და მის თეძოზე აწერია სახელი: „მეფეთ მეფე და უფალთ უფალი“.

მხეცი ჩაგებუღია ცუცხლის ტბაში

17 ვიხილე მზეზე მდგარი ერთი ანგელოზი. დაიყვირა მან დიდი ხმით და უთხრა ყოველ ფრინველს, რომლებიც დაფრინავდნენ ზეცის შუაგულში: „მოდით, შემოკრებით ღვთის დიდ სერობაზე,

18 რომ ჭამოთ მეფეთა ხორცი, ათასისთავთა ხორცი, ძლიერთა ხორცი, ცხენთა და მხედართა ხორცი, ყველა თავისუფლისა და მონის, მცირისა და დიდის ხორცი“.

19 ვიხილე მხეცი და მიწის მეფენი და მათი ლაშქარნი შეკრებილნი, რათა შებმოდნენ მხედარსა და მის ლაშ-

ქარს.

20 შებყრობილ იქნა მხეცი და მასთან ერთად ცრუწინასწარმეტყველი, რომელიც სასწაულებს ახდენდა მის წინაშე, რომლითაც აცდუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მისი ხატის მოთაყვანენი, და ორივენი ცოცხლად იქნენ ჩაყრილნი ცეცხლის ტბაში, რომელიც გოგირდით იწვოდა.

21 დანარჩენები დაიხოცნენ მახვილით, რომელიც ცხენზე მჯდომარის პირიდან გამოდიოდა, და ყველა ფრინველი გაძღა მათი ხორციით.

20 სატანის შებოხება ვიხილე ზეციდან ჩამომავალი ანგელოზი, რომელსაც ხელში ჰქონდა უფსკრულის კლიტე და დიდი ჯაჭვი.

2 შეიბყრო გველეშაპი, ძველი გველი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შებოროკა ათასი წლით.

3 ჩააგდო იგი უფსკრულში, ჩაკეტა და დაადო ბეჭედი, რათა აღარ აცდუნოს ერები, ვიდ-

რე ათასი წელი არ შესრულდება. ამის შემდეგ კი უნდა გათავისუფლდეს მცირე ხნით.

4 ვიხილე ტახტები და მათზე მსხდომარენი, და მათ მიეცათ სამსჯავრო და იესოს მოწმობისა და ღვთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებმაც თავვანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატებას და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა და ხელზე. ისინი გაცოცხლდნენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს.

5 სხვა მკვდრები კი არ გაცოცხლდნენ, ვიდრე არ შესრულდა ათასი წელი. ეს არის პირველი აღდგომა.

6 ნეტარი და წმიდაა ის, ვისაც აქვს წილი პირველ აღდგომაში. მასზე ხელმწიფება არ აქვს მეორე სიკვდილს, არამედ ისინი იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს.

სატანის გათავისუფლება

7 როცა ათასი წელი შესრულდება, გათავისუფლება სატანა თავისი საპყრო-

ბილიდან

8 და გამოვა, რათა შეაჯინოს ერები, მიწის ოთხივე კუთხეში გოგი და მაგოგი, შეკრიბოს ისინი საბრძოლველად, რომელთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა.

9 გამოვიდნენ მიწის სივრცეზე, გარს შემოერთყენენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს. ჩამოვიდა ცეცხლი ზეციდან და შთანთქა ისინი.

10 ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდუნა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი იმყოფებიან, და დაიტანჯებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე.

პატახუბი და დიდები განან დიდი ტახტის წინაშე

11 ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე, რომლისგანაც გარბოდა ცა და მიწა, და არ იპოვებოდა მათთვის ადგილი.

12 ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლე-

ბიც ტახტის წინ იდგნენ, და გადაშლილი იყო წიგნები. გადაშლილი იყო სხვა წიგნიც, რომელიც სიცოცხლის წიგნია, და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ.

13 მისცა ზღვამ მასში მყოფი მკვდრები. და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა მისცეს მათში მყოფი მკვდრები, და თითოეული განკითხულ იქნა მისი საქმეებისამებრ.

14 სიკვდილი და ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნენ ცეცხლის ტბაში. ეს არის მეორე სიკვდილი, ცეცხლის ტბა.

15 ვინც არ იყო ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული.

21 ახალი ცა და ახალი მიწა

ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდნენ, და ზღვა აღარ იყო.

2 ვიხილე წმიდა ქალაქი ახალი იერუსალიმი, რომელიც ღვთისაგან ეშვებოდა

ციდან გამზადებული, როგორც თავისი ქმრისათვის მორთული სასძლო.

3 გავიგონე ტახტიდან დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: „აჰა, სავანე ღვთისა კაცთა შორის! და ის დამკვიდრდება მათ შორის, ისინი იქნებიან მისი ერი და თვით ღმერთი იქნება მათთან.“

4 მოსწმედს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი. გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, რადგან წინანდელნი გადავიდნენ.“

5 თქვა ტახტზე მჯდომარემ: „აჰა, ვქმნი ყოველივეს ახალს“. და მითხრა მე: „დაწერე, რადგან ეს სიტყვები სარწმუნოა და ჭეშმარიტია“.

6 მითხრა: „აღსრულდა! მე ვარ ანი და ჰე, დასაბამი და დასასრული. მე მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროდან უსასყიდლოდ.“

7 გამარჯვებული დაიმკვიდრებს ამას, მე მისთვის ღმერთი ვიქნები და ის ჩემთვის – ძე.

8 ხოლო მხდალთა და ურწ-

მუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერბთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორე სიკვდილია“.

ახალი იეჰუსალიმი, მისი კახიბჭე, გაღვანი და სასანთლე

9 მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგანი, რომელთაც შვიდი უკანასკნელი წყლულით სავსე შვიდი თასი ჰქონდათ, და მითხრა: „მოდი და გიჩვენებ სასძლოს, კრავის ცოლს“.

10 წამიყვანა სულით დიდსა და მაღალ მთაზე. მიჩვენა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც ციდან ეშვებოდა ღვთისაგან,

11 და ჰქონდა ღვთის დიდება. მისი შუქი მსგავსი იყო პატიოსანი თვლისა, როგორც იასპის ქვისა, ბროლივით გამჭვირვალესი.

12 ჰქონდა დიდი და მაღალი გალავანი, თორმეტი კარიბჭე და კარიბჭეებზე თორ-

მეტი ანგელოზი, და ზედ ეწერა სახელები ისრაელიანთა თორმეტი ტომისა.

13 სამი კარიბჭე აღმოსავლეთიდან, სამი კარიბჭე ჩრდილოეთიდან, სამი სამხრეთიდან და სამი დასავლეთიდან.

14 ქალაქის გალავანს ჰქონდა თორმეტი საძირკველი და მათზე იყო კრავის თორმეტი მოციქულის სახელები.

15 ჩემთან მოლაპარაკეს საზომად ოქროს ლერწამი ჰქონდა ქალაქის, მისი კარიბჭეებისა და მისი გალავნის გადასაზომად.

16 ქალაქი ოთხკუთხედად იყო მდებარე და მისი სიგრძე იგივე იყო, რაც სიგანე. გაზომა მან ქალაქი ლერწმით თორმეტი ათას სტადიონზე. მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე თანაბარი იყო.

17 გაზომა მისი გალავანი და გამოვიდა ას ორმოცდაოთხი წყრთა, კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა.

18 მისი გალავანი იასპით იყო ნაგები, ხოლო ქალაქი იყო წმიდა ოქროსი, წმიდა

მინის.

19 ქალაქის გალავნის საძირკვლები მოპირკეთებული იყო ყოველნაირი ძვირფასი ქვებით. პირველი საძირკველი იყო იასპი, მეორე – საფირონი, მესამე – ქალკედონი, მეოთხე – ზურმუხტი,

20 მეხუთე – სარდონიქსი, მეექვსე – სარდონი, მეშვიდე – ქრიზოლითი, მერვე – ბივრილი, მეცხრე – ტოპაზი, მათე – ქრისოპრასი, მეთერთმეტე – იაკინთი, მეთორმეტე – ამეთვისტო.

21 თორმეტი კარიბჭე თორმეტი მარგალიტი იყო. ყოველი კარიბჭე თითო მარგალიტი, ხოლო ქალაქის ქუჩა სუფთა ოქრო იყო, როგორც გამჭვირვალე მინა.

22 ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, რადგან მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთია და კრავი.

23 ქალაქს არ სჭირდება არც მზე, არც მთვარე, გასანათლებლად, რადგან ღვთის დიდებამ გაანათა იგი და კრავია მისი სასანთლე.

24 ერები ივლიან მის ნა-

თელზე, მიწიერი მეფეები მიიტანენ იქ თავიანთ დიდებასა და პატივს.

25 მისი კარიბჭენი დღისით არ დაიკეტება, რადგან ღამე არ იქნება იქ.

26 მიიტანენ იქ ერების დიდებასა და პატივს.

27 ვერ შევა მასში ვერაფერი უწმიდური და ვერცერთი სიბილწისა და სიცრუის ჩამდენი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც კრავის სიცოცხლის წიგნში არიან ჩაწერილი.

სიცოცხლის ნყის

22 მინახე მიჩვენა სიცოცხლის წყლის მდინარე, ბროლივით კრიალა, რომელიც ღვთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა.

2 მისი ქუჩის შუაგულში, მდინარის გაღმა-გამოღმა, სიცოცხლის ხეა, რომელიც ისხამს თორმეტ ნაყოფს, ყოველ თვეში იძლევა თავის ნაყოფს. ხოლო ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა.

3 დაწყევლილი არაფერი აღარ იქნება, ღვთისა და კრა-

ვის ტახტი იქნება მასში და მისი მსახურები მოემსახურებიან მას.

4 იხილავენ მის სახეს და მისი სახელი შუბლზე ეწერებათ.

5 ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და არც მზის ნათელი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე.

ეს სიტყვები სახნმუნო და ჭემშიხიტია

6 და მითხრა მე: „ეს სიტყვები სარწმუნო და ჭემშიხიტია. და წინასწარმეტყველთა სულების უფალმა ღმერთმა მოავლინა თავისი ანგელოზი, რათა ეჩვენებინა თავის მსახურთათვის, რაც უნდა მოხდეს მალე.“

7 აჰა, მე მოვალ მალე. ნეტარია, ვინც დაიცავს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს“.

8 მე, იოანემ, მოვისმინე და ვიხილე ეს. როცა მოვისმინე და ვიხილე, დავემხე იმ ანგელოზის ფერხით, რო-

მელმაც მაჩვენა ყოველივე ეს, რათა თაყვანი მეცა.

9 მითხრა მე: „ნუ იზამ ამას, ვინაიდან მე თანამსახური ვარ შენი და შენი წინასწარმეტყველი ძმებისა და იმათი, ვინც იხანავს ამ წიგნის სიტყვებს. ღმერთს ეცი თაყვანი“.

აჰა, მოვალ მალე

10 და მითხრა მე: „ნუ დაბეჭდავ ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, რადგან ახლოა უამი.“

11 უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და უწმიდური კვლავ უწმიდურობდეს, მართალი კვლავ მართლობდეს და წმიდა კვლავ წმიდობდეს.

12 აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მივუზღა.

13 მე ვარ ანი და ჰაე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული.

საბოლოო გაფიხილება და ეფიხევა

14 ნეტარნი არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამო-

სელს, რომ ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭით შევიდნენ ქალაქში.

15 მის მიღმა არიან ძაღლები და გრძნეულები, მეძავნი და კაცისმკვლელები, კერბთაყვანისმცემლები და ყოველი მოყვარული და ჩამდენი სიცრუისა.

16 მე, იესომ, მოგავლინე ჩემი ანგელოზი, რათა დაგიმომწოთ ეს ეკლესიებში. მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“.

17 სული დასასძლო ამბობენ: „მოდი!“ გამგონემაც თქვას: „მოდი!“ მწყურვალნი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი.

18 მე ვამოწმებ ყველასთვის, ვისაც ესმის ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვები: თუ ვინმე რამეს დაუმატებს ამას, ღმერთი გაუმრავლებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს.

19 თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხისგან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი.

20 ამის დამამოწმებელი ამბობს: „ჰე, მოვალ მალე!“ ამინ. მოდი, უფალო იესო.

21 ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი იყოს ყველა წმიდასთან. ამინ.